

# პირველი ნაბიჯის 10 წლის იუბილე 1998-2008



არასამთავრობო ორგანიზაცია ფონდი „პირველი ნაბიჯი“ დაარსდა 1998 წელს იმ საშინელი საცხოვრებელი პირობების გასაუმჯობესებლად, რომელშიც იმყოფებოდნენ კასპის ფსიქონევროლოგიური პანსიონატის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვები. ათი წლის შემდეგ, ჩვენ შევძელით შეგვექმნა ნორმალური საცხოვრებელი და საარსებო პირობები ამ ბავშვების დასახმარებლად. როგორც ჩვენი ძალისხმევით, ასევე საერთაშორისო დონორების თავდაუზოგავი საქველმოქმედო საქმიანობით ბავშვების ყოფა საგრძნობლად გაუმჯობესებულია. დღეს ბავშვების თვალები სასოწარკვეთის ნაცვლად სავსეა იმედით, რადგან მათ აქვთ საშუალება ისევე განავითარონ თავიანთი პოტენციალი, როგორც ჩვენი საზოგადოების სხვა წევრებმა.

## ბევრი გვაქვს საამაჟო და ბევრის განსაკეთილშობილი

„პირველი ნაბიჯისა“ და „Next Step“ – ის („პირველი ნაბიჯის“ მხარდამჭერი ირლანდიული საქველმოქმედო ორგანიზაცია) თანამშრომლებმა და მზრუნველთა საბჭოს წევრებმა ბევრს მიაღწიეს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვებისა და მოზარდების კეთილდღეობისთვის.



ნინო ჟვანია – „პირველი ნაბიჯის“ თანადამფუძნებელი ქეთი შვილიძე – „პირველი ნაბიჯის“ დირექტორი

10 თებერვალს, „პირველი ნაბიჯის“ თანადამფუძნებელმა ნინო ჟვანიამ და „Next Step“-ის მზრუნველთა საბჭოს თავმჯდომარემ დეს მაქმაჰონმა საქართველოს ეროვნულ მუზეუმში „პირველი ნაბიჯის“ საქველმოქმედო საქმიანობის მხარდამჭერები მიიწვიეს. სტუმრებს შორის იმყოფებოდნენ საქართველოს პირველი ლედი, სანდრა ელისაბედ რულოვისი, პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილე – გიგი წერეთელი და შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილე – ნიკოლოზ ფრუიძე.

სტუმრებისთვის ნაჩვენები იყო ფილმი, რომელიც ასახავდა „პირველი ნაბიჯის“ საქმიანობას ათი წლის მანძილზე. ამ ყველაფრის მიღწევა შეუძლებელი იქნებოდა საქართველოს მთავრობის, კერძო პირებისა და ბიზნესის მხარე და თანმიმდევრული დახმარების გარეშე.

ქვევარეშეა, რომ ყველაფერი ეს შევძელით საერთაშორისო დონორების უანგარო დახმარებით.



დეს მაქმაჰონი – „Next Step“ ის მზრუნველთა საბჭოს თავმჯდომარე სანდრა ელისაბედ რულოვისი – პირველი ლედი

მარებით. „პირველი ნაბიჯის“ გუნდი მადლობას უხდის ყველა მხარდამჭერს.

„პირველი ნაბიჯი“ განსაკუთრებულ მადლობას უხდის შემდეგ ორგანიზაციებს და კერძო პირებს:

„წმინდა მიქაელის სახლი“ (St. Michael's House) – ირლანდიაში წამყვანი ორგანიზაციაა,

რომელიც აწვდის სხვადასხვა მომსახურებებს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვებს და ზრდასრულებს. ჩვენთვის ეს ორგანიზაცია გზამკვლევა უნარშეზღუდულობის რთულ სფეროში. ისინი ყოველთვის მზად არიან რჩევის მოსაცემად, ტრენინგის ჩასატარებლად და მათ არასოდეს უთქვამთ უარი დახმარებაზე.

ქალბატონები, რომლებიც მართავენ საქველმოქმედო საშობაო სადილს დუბლინში – 2000 წლიდან, მათ დაახლოებით ნახევარი მილიონი ევრო შეგვიგროვეს. ამ ქალბატონებმა გახადეს შესაძლებელი „პირველი ნაბიჯის“ არაერთი პროგრამის დაწყება.

მედი უინჩესტერის „ორაკიმ ინვესტი“ ერეზ რაზ – „ორაკიმ ინვესტი“ უსბენ ემბორგი – დანიის სამეფოს საპატიო კონსული გიგი წერეთელი – პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილე დევი ოვაშვილი – პარტნიორი, „სკა კაპიტალი“

ირლანდიის სახელმწიფოს დახმარება (Irish Aid) – 2005 წლიდან Irish Aid ჩვენი პარტნიორია, მათი საშუალებებით ჩვენ ბევრი ახალი უმნიშვნელოვანესი პროგრამა წამოვიწყეთ.



## „პირველი ნაბიჯის“ თანადამფუძნებელი – წლის ქველმოქმედი

2008 წლის დეკემბერში „პირველი ნაბიჯის“ თანადამფუძნებელს ქალბატონ ჯეინ ქორბოს 'The Community Foundation for Ireland'-ის მიერ მიენიჭა წლის საერთაშორისო ქველმოქმედის ჯილდო იმ საქმიანობისთვის, რასაც იგი 10 წლის მანძილზე ეწევა საქართველოში შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვების დასახმარებლად.

ქალბატონმა ჯეინმა განაცხადა: „მე ამ ჯილდოს ვიღებ ყველა იმ ადამიანის სახელით, რომლებმაც ბავშვების მოვლაში უზარმაზარი წვლილი შეიტანეს, და რომელთა გარეშეც დღეს იქ არ ვიქნებოდით სადაც ვართ“.



თინა როშე – ირლანდიის საზოგადოებრივი ფონდის აღმასრულებელი დირექტორი ჯეინ ქორბო – „პირველი ნაბიჯის“ თანადამფუძნებელი

# 1998-2008 წლის მიღწევები

## 1998

დაფუძნდა „პირველი ნაბიჯი“, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვებისა და მოზარდების დასახმარებლად.

საქართველოს მთავრობამ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვებისთვის სარეაბილიტაციო ცენტრის ასაშენებლად 2 ჰექტარი მიწა გამოყო თბილისის გარეუბნებში.



ნია იტაკეზე ჭამს კასპის ბავშვთა სახლში, 1997 წ.

## 1999

30 ყველაზე მძიმე მდგომარეობაში მყოფი ბავშვი გადაიყვანეს კასპის ბავშვთა სახლიდან თბილისის პედიატრიულ საავადმყოფოში. ბევრ მათგანს არ შეეძლო სიარული, ბევრი სიკვდილის პირას იმყოფებოდა.



„პირველი ნაბიჯის“ სოფელი

## 2000

გაწეული დახმარებისა და მოვლის შედეგად, მძიმედ დაავადებულნი სასწაულდებრივად გამოჯანმრთელდნენ და 6 წლის ასაკის ბავშვებმა სკოლაში სიარულიც დაიწყეს.

„პირველი ნაბიჯის“ სოფელში, პირველი კოტეჯის მშენებლობა დაიწყო.

## 2002

„პირველი ნაბიჯის“ პირველი კოტეჯის მშენებლობა დასრულდა და თორმეტმა ბავშვმა ახალ სახლში ცხოვრება დაიწყო.

## 2003

პირველად საქართველოში №10 სკოლაში დაიწყო ინტეგრირებული სწავლება.

ზუგდიდში, წმ. ლაზარეს სახელობის დღის ცენტრი გაიხსნა, რომელიც 20 ბავშვსა და მათ ოჯახებს ემსახურება.

„პირველი ნაბიჯის“ სოციალური სერვისების პროგრამისა და დეინსტიტუციონალიზაციის სახელმწიფო პროგრამის დამსახურებით, 15 ბავშვი კასპის ბავშვთა სახლიდან, სადაც ისინი 5 წელზე მეტი ცხოვრობდნენ, დაბრუნდნენ ოჯახებში.



ინტეგრირებული კლასი თბილისში

## 2004

კასპის ბავშვთა სახლის 12 აღსაზრდელისთვის „პირველი ნაბიჯის“ სოფელში აშენდა მეორე საცხოვრებელი კოტეჯი.

## 2005

„პირველი ნაბიჯის“ სოციალური ჯგუფის თავდადებული მუშაობის შედეგად 5 შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვი გადარჩა ოჯახისგან მიტოვებას.

30 საშუალო და მძიმე შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვისთვის „პირველი ნაბიჯის“ სოფელში გაიხსნა დღის ცენტრი. ცენტრის დაარსებამდე, ამ დონის უნარშეზღუდულობის მქონე ბავშვებისთვის საგანმანათლებლო პროგრამები არ არსებობდა.

დუბლინის „წმინდა მიქაელის სახლმა“ (St Michael's House) უმასპინძლა ქართველ წამყვან პოლიტიკოსებს ხუთ დღიანი სასწავლო პროგრამით. ამ ვიზიტის შედეგად საფუძველი ჩაეყარა ახალ მნიშვნელოვან ინიციატივებს საქართველოს მთავრობის მხრიდან.



დღის ცენტრის ბავშვები სათამაშო მოედანზე



ბავშვები კასპის ბავშვთა სახლში

**2006**

კასპში დარჩენილი ბავშვები უზრუნველყოფილნი არიან საკვებითა და გათბობით მთელი ზამთარი.

2 ფსიქოლოგი, სოციალური მუშაკი და სპეციალური მასწავლებელი ღუბლინის „წმინდა მიქაელის სახლთან“ ერთად მონაწილეობენ რვა კვირიან ტრენინგების ტრენინგის პროგრამაში.



„პირველი ნაბიჯის“ ტრენინგები ღუბლინში

2006 წელს „პირველი ნაბიჯის“ მფარველი და ირლანდიის ყოფილი პრეზიდენტი მერი რობინსონი „პირველი ნაბიჯის“ სოფელს ესტუმრა.



ჯენ ჯორბოი - „პირველი ნაბიჯის“ თანადამფუძნებელი  
დონალ ო'კონელი - ირლანდიის სახელმწიფო დახმარების ფონდის  
ნინო უვანია - „პირველი ნაბიჯის“ თანადამფუძნებელი  
მერი რობინსონი - „პირველი ნაბიჯის“ მფარველი და  
ირლანდიის ყოფილი პრეზიდენტი  
ქეთი მელიქაძე - „პირველი ნაბიჯის“ დირექტორი

**2007**

„პირველი ნაბიჯის“ ტრენინგებმა შექმნეს ქართულ რეალობას მორგებული სახელმძღვანელოები და დაიწყო აღმზრდელებისა და სპეციალისტების პროფესიული მომზადება.

საქართველოს მთავრობამ კოვლარში შექმნა საცხოვრებელი პირობები კასპში დარჩენილი ბავშვებისთვის და მოზარდებისთვის. „პირველმა ნაბიჯმა“ დაიწყო კოვლარის სარემონტო სამუშაოები და ასევე, ბავშვებისთვის აღმზრდელების მოზიდვა და მათი პროფესიული სწავლება.

„პირველი ნაბიჯის“ ოკუპაციურ თერაპევტს რუსიკო ლორთქიფანიძეს ორ-კვირიანი ტრენინგი ჩაუტარდა ღუბლინში „წმინდა მიქაელის სახლში“.

ირლანდიის სახელმწიფოს ფინანსური მხარდაჭერით („Irish Aid“) დაიწყო ოჯახში მომსახურების პროგრამა. ეს საქართველოსთვის პირველი პროექტია, როდესაც მძიმე უნარშეზღუდულობის მქონე ბავშვების ოჯახებისთვის გამოიყოფა დამხმარე აღმზრდელი.



კოვლარი რემონტამდე და მას შემდეგ



კესო და „პირველი ნაბიჯის“ გუნდის წევრი თამილა



ბავშვები კასპიდან გადაყვით  
კოვლარის ახლადგახსნილ  
დაწესებულებაში

**2008**

25 ბავშვი კასპის ბავშვთა სახლიდან გადაყვანილია კოვლარის სახელმწიფო სააღმზრდელო დაწესებულებაში.

„Irish Aid“-ის დამსახურებით, „პირველმა ნაბიჯმა“ წამოიწყო მშობლების გაძლიერების პროგრამა. აქამდე, ბევრი მშობელი თავს გრძობდა მარტოდ, საზოგადოებისგან იზოლირებულად. ამ პროგრამამ ისე გაამართლა, რომ ახლა ისინი თავიანთ დამოუკიდებელ ასოციაციებს ქმნიან.

UNICEF-ის მოთხოვნაა, რომ სახელმწიფო ინსტიტუციებში აღმზრდელებისთვის ტრენინგი ჩატაროს „პირველმა ნაბიჯმა“. კასპის ბავშვთა სახლი დატოვა ბოლო 15-მა აღსაზრდელმა. ეს არის კასპის ეპოქის დასასრული.

**2009**

4 ახალგაზრდა, რომლებიც კასპიდან 1999 წელს წამოვიდნენ და რომლებიც „პირველი ნაბიჯის“ სოფლის ერთ-ერთი პირველი მაცხოვრებლები იყვნენ, თბილისის გარეუბანში ცალკე ბინაში გადავიდნენ და ნახევრად-დამოუკიდებელი ცხოვრება დაიწყეს. ეს პროგრამაც პირველია საქართველოში და დაფინანსებულია „Irish Aid“-ის მიერ.



ბექა, ვიორჯი და ვიორჯი ბინაში

# გავზავის ზეიმი

„პირველი ნაბიჯის“ 10 წლისთავი არ იქნებოდა სრულყოფილი ბავშვებისადმი მიძღვნილი ზეიმის გარეშე. რომელზეც მათი მშობლები, მოწვეული სტუმრები და „პირველი ნაბიჯის“ თანამშრომლები ესწრებოდნენ. ღონისძიება 13 თებერვალს „ქორთიარდ მარიოტში“ გაიმართა, სტუმართა შორის გახლდათ შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი ბატონი ალექსანდრე კეცაშვილი-რაც ჩვენთვის დიდი პატივია.



მარიამ კოეზირიძე და ნინიო არაქელიანი



გვი წერეთელი - პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილე ნინო ჟვანია - „პირველი ნაბიჯის“ თანადამფუძნებელი

ღონისძიებაზე „პირველი ნაბიჯის“ ბავშვებმა თავიანთი ნახატები გამოფინეს, ასევე „ანა-ბანასთან“ ერთად მონაწილეობა მიიღეს კონცერტში, რომელიც „ქორთიარდ მარიოტის“ სცენაზე გაიმართა. სტუმრები ბავშვებთან ერთად მღეროდნენ და ცეკვავდნენ: მაკდონალდსმა თითოეულ ბავშვს „პეფი მილი“ აჩუქა, რითაც მათი აღფრთოვანება დაიმსახურა. ცალკე აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ბავშვების მიერ შესრულებული ნახატების უმეტესობა გაიყიდა.



„პირველი ნაბიჯის“ ბავშვების ზეიმი „ქორთიარდ მარიოტში“



„პირველი ნაბიჯის“ ბავშვების ინტერგერებული ანსამბლი „ქორთიარდ მარიოტში“



ალექსანდრე კეცაშვილი - შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი



დავით ყიფიანი - სასტუმრო „მარიოტის“ ქსელის HR მენეჯერი  
ოვალ პოლცკი - სასტუმრო „მარიოტის“ ქსელის გენერალური მენეჯერი  
მაია წერეთელი - „ქორთიარდ მარიოტის“ მენეჯერი

## გადლოვან ვუნდით მხარდაჭერისთვის

- „ორაკიმ ინვესტი“;
- „ქორთიარდ მარიოტი“;
- „საქართველოს ეროვნული მუზეუმი“;
- „ჯორჯიან ივენისი“;
- ღვინის კომპანია „ხოხბის ცრემლები“;
- სატელევიზიო პროგრამა „ანა-ბანა“;
- „მაკდონალდსი“



TBILISI



georgianevents



თუ გერჩით გული:  
თუ ხედავთ, რომ სწორ საქმეს ვაკეთებთ;  
თუ ხართ საქართველოში გადასახადის გადამხდელი და  
თუ გაქვთ საშუალება დაეხმაროთ მათ, ვისაც ეს დახმარება ყველაზე მეტად სჭირდება:  
კანონმდებლობა გაძლევეთ საშუალებას, გააკეთოთ კეთილი საქმე.  
თქვენს ორგანიზაციას შეუძლია ხარჯად გაატაროს „პირველი ნაბიჯისთვის“ გადმორიცხული თანხა,  
რომელიც არ აღემატება კომპანიის მოგების 8 პროცენტს.  
კანონმა ეს ნაბიჯი უკვე გადმოგდა - გადმოდგით თქვენი ნაბიჯი „პირველი ნაბიჯისკენ“.

ჩვენი რეკვიზიტებია: თი-ბი-სი ბანკი;  
საიდ. კოდი: 220101830  
ა/ა 1700693

დამატებითი ცნობებისთვის გთხოვთ დაუკავშირდეთ მარიამ ოსეფაიშვილს: tfs@tfs.ge  
ტელ: (995 32) 25 25 19; 23 01 40

„პირველი ნაბიჯი“ (TFS)  
Email: tfs@tfs.ge  
www.nextstepchildren.org

ოთახი 504,  
ი. ჭავჭავაძის გამზირი 74ა.  
თბილისი, 0162, საქართველო

ტელ.: (995 32) 25 25 19;  
23 01 40  
ფაქსი: (995 32) 25 25 19